

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის
პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველო

**ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე
ადამიანის უფლებების დარღვევები
(იანვარი - მარტი, 2018 წ.)**

20 აპრილი, 2018

შინაარსი

1. ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, დაკავებები
2. პასპორტიზაცია
3. უძრავი ქონების საკითხი
4. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვა
5. ომბუდსმენის საკითხი ოკუპირებულ ტერიტორიაზე

1. ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, დაკავებები, გატაცებები

2018 წლის დასაწყისში, გასული წლის ამავე პერიოდის მსგავსად, რუსი და აფხაზი „მესაზღვრეები“ ისევ აგრძელებდნენ ენგურის პერიმეტრის „უკანონოდ“ გადაკვეთის ბრალდებით ადამიანთა დაკავებას, მათი წინასწარი გამოძიების იზოლატორში გადაყვანასა და დაჯარიმებას.

მ.წ. 6 თებერვალს, შუაღლისას, რუსმა „მესაზღვრეებმა“ განმუხური-ფიჩორის გამყოფ ხაზზე ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს გალის რაიონის სოფელ ფიჩორის მცხოვრები, მ.შ. მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად. დაკავებული ე.წ. საზღვარზე მდინარის ფონით აპირებდა გადასვლას.

რუსმა „მესაზღვრეებმა“ დედა და ბავშვები სოფელ ოტობაიის სამხედრო ბაზაში გადაიყვანეს, რის შემდეგაც მ.შ-ს მეუღლე ი.ჯ. დაიბარეს და ბავშვები მას გადასცეს, დაკავებული კი გალის მილიციაში გადაიყვანეს და ჯარიმის სახით 4800 რუსული რუბლის (220 ლარამდე) გადახდა დააკისრეს. მ.შ. მხოლოდ გვიან ღამით გაათავისუფლეს.

22 თებერვალს ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა, ენგურის გამშვებ პუნქტთან ე.წ. „საზღვრის უკანონოდ კვეთის“ ბრალდებით ზუგდიდის მკვიდრი მ. წ. დააკავეს,

აფხაზური მედიის ინფორმაციით, მ.წ. ენგურის გავლით გალში მოხვედრას ცდილობდა.

იმის გამო, რომ გასულ წლებში საოკუპაციო და სეპარატისტულმა ძალებმა გამშვები პუნქტები დახურეს და მხოლოდ ორი მათგანი დატოვეს (ენგურის ხიდი და საბერიო-წყოუშის

გადასასვლელი) ამ გამშვებ პუნქტებზე მუდმივად რიგებია. ადამიანები ხშირად ორი-სამი საათის განმავლობაში უცდიან თავიანთ რიგს, რათა ე.წ. საზღვარზე გადავიდნენ. მათ შორის არიან ავადმყოფები, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სამკურნალოდ გადადიან და მოსწავლეები, რომელთაც სასწავლებლად ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონებში უნევთ გადასვლა, რადგანაც გალის რაიონში ქართული სკოლების დახურვის გამო ბავშვებს ადგილზე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საშუალება არა აქვთ. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, მუდმივი რიგების გამო გამშვებ პუნქტებზე მოქმედებს ე.წ. საზღვარზე „არალეგალურად“ გადაყვანის კორუფციული სისტემა, რომელშიც რუს „მესაზღვრეებთან“ შეთანხმებული „გადამყვანები“ არიან ჩართული.

27 თებერვალს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის თარგვლებში გალში გამართულ შეხვედრაზე ქართულმა დელეგაციამ ყურადღება გაამახვილა გამყოფ ხაზზე გადაადგილების შეზღუდვის ფაქტებზე და ამის დამადასტურებლად შესაბამისი სტატისტიკაც მოიყვანა, რომლის თანახმად 2017 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა გამყოფ ხაზზე დახლოებით 1000 ადამიანი დააკავეს ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით, საუბარია ორივე მიმართულებით მოძრაობაზე.

„და ეს მაშინ, როცა ამავე მონაცემებზე დაყრდნობით, 2016 წელს ამ რიცხვმა 3000 შეადგინა. ეს კლასიკური მაგალითია იმისა, როგორ ხდება ადამიანთა გადაადგილების შეზღუდვა და დროის გარემოებათა გათვალისწინებით, როგორ მცირდება ადამიანების მცდელობები გადაკვეთონ საოკუპაციო ხაზი, რაც, ცხადია, გამონეგულია ე.წ. ხელისუფლების მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებებით გადასასვლელების დახურვასთან დაკავშირებით.“- აღნიშნა შეხვედრის დასრულების შემდეგ ენგურის ხიდზე ჟურნალისტებთან საუბარში ქართული დელეგაციის ერთ ერთმა წევრმა.

მარტის თვეში გამყოფი ხაზის ტერიტორიაზე ადამიანების უკანონოდ დაკავების კიდევ რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა.

13 მარტს რუსმა სამხედროებმა ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე, ზუგდიდში მცხოვრები გ.ზ. დააკავეს. გალის რაიონის ე.წ. პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა „სახელმწიფო საზღვრის“ უკანონოდ გადაკვეთის საქმეზე.

ქართული მხარის შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან განცხადება გაკეთდა, რომ გ.ზ.-ს დაკავების შესახებ ინფორმაცია მიწოდებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისთვის და მის გასათავისუფლებლად აქტიურად მუშაობენ. [Ipn.ge](http://ipn.ge), 14.03.18

აფხაზური მედიის ინფორმაციით, მარტის თვის მეორე ნახევარში ოკუპირებულ აფხაზეთში, ბიჭვინთაში საქართველოს მოქალაქე, 1985 წელს დაბადებული, ფოთში მცხოვრები ი. გ. დააკავეს.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. შსს-ს განცხადებით, ი.გ.-მ აფხაზეთის ე.წ. საზღვარი “უკანონოდ“ გადაკვეთა. მოგვიანებით დაკავებული გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა. **Accent.com.ge, 20.03.18**

ამავე პერიოდში აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწემ ირაკლი ტუუბამ განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება ადამიანებს „საქართველო-აფხაზეთის საზღვრის“ უკანონოდ გადაკვეთისკენ აქეზებს.

„ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მოქალაქეების მიერ სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის რაოდენობა გაიზარდა. როგორც ჩანს, ამგვარ პრაქტიკას საქართველოს ხელისუფლება აქეზებს, რომელიც სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მიზნით საქართველოს მოქალაქეების დაკავების ფაქტებს პროპაგანდისტური მიზნებისათვის იყენებს, აფხაზურმა მხარემ, უენევის დისკუსიების ფარგლებში, არაერთხელ გაათრთხილა ქართული მხარე საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის დაუშვებლობაზე. - განაცხადა ირაკლი ტუუბამ. **Ipn.ge, 15.03.18**

მ.წ. 6 თებერვალს ათთვიანი პატიმრობის შემდეგ აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა დრანდის ციხიდან საქართველოს მოქალაქე პ.რ. გაათავისუფლეს.

27 თებერვალს, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართულ გალის შეხვედრაზე, ქართულმა მხარემ სხვა საკითხებთან ერთად, ენგურის ხიდზე დაკავებული მ. წ.-ს გათავისუფლებაც მოითხოვა და აფხაზურ ე.წ. ხელისუფლებას მიმართა, აღნიშნული შემთხვევა ჰუმანიტარულ ჭრილში განეხილათ. **Ipn.ge, 27.02.18**

2. პასპორტიზაცია

მიმდინარე წლის 23 იანვრის მონაცემებით, ოკუპირებულ აფხაზეთში ამ გაცემული იყო ე.წ. აფხაზეთის მოქალაქის ახალი ნიმუშის 49 763 პასპორტი. განხილვის პროცესში იყო 2 628 განცხადება. აფხაზური მხარის თქმით, 2500 დოკუმენტი უკვე დამუშავდა. ზოგადად, გამოსაცვლელია დაახლოებით 140 ათასი პასპორტი. - ამის შესახებ „აბხაზია ინფორმს“ აფხაზეთის ე.წ. შს სამინისტროს საპასპორტო სამმართველოს უფროსმა ედუარდ მანარგიამ განუცხადა.

რაც შეეხება ბინადრობის მონწილობას, მისი თქმით, ასეთი დოკუმენტი ჯერჯერობით მხოლოდ გალის მოსახლეობაზე გაიცემა. მომავალში ბინადრობის მონწილობები სხვა რაიონებშიც გაფორმდება.

მანარგიას თქმით, ამ დროისთვის გალის რაიონში უკვე გაცემულია 1 573 ბინადრობის მონწილობა, წარმოებაშია 4 447 დოკუმენტი.

„მიუხედავად იმისა, რომ გალის რაიონში ადრე გაცემული აფხაზეთის მოქალაქის პასპორტები პარლამენტის გადაწყვეტილებით ჯერ კიდევ 2013 წელს უმოქმედოდ ჩაითვალა, მოსახლეობის ხელში მაინც რჩება 17 ათასი აფხაზური პასპორტი“. - აღნიშნა მანარგიამ.

გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზური მხარის მიერ გაცემული პასპორტისთვის საჭირო დოკუმენტაციისა და პროცედურების გავლა დაახლოებით 4 500 რუბლი ჯდება. ამ თანხაში შედის როგორც რეჟიმის მიერ დაწესებული „ოფიციალური“ გადასახადი, ასევე, არაოფიციალური ბაჟი, ანუ ქრთამი. საქმე ისაა, რომ „აფხაზური პასპორტის“ მფლობელისთვის შედარებით ადვილია შემდეგ რუსეთში საცხოვრებლად საჭირო „საზღვარგარეთის პასპორტის“, ან სულაც რუსული პასპორტის აღება.

ამ პერიოდში მოსახლეობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბინადრობის უფლების მისაღებად ადგილობრივებს წლის ბოლომდე მათ ხელთ არსებული ძველი ნიმუშის ე.წ. აფხაზური პასპორტები უნდა ჩაებარებინათ.

გავრცელებული ინფორმაციით, „პასპორტების საქმეს“ ლობირებს გალის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თემურ ნადარაია და მისი დაჟინებული მოთხოვნით ხდება სწორედ ძველი ნიმუშის აფხაზური პასპორტების ჩაბარება.

როგორც აფხაზური ადმინისტრაცია აცხადებს, იმ ადამიანებმა, რომლებსაც ახალი ნიმუშის აფხაზური პასპორტის აღება სურთ, ე.წ. „მწვანე“ პასპორტებთან ერთად დამატებითი დოკუმენტაცია უნდა წარუდგინონ სპეციალურ კომისიას, რომელიც წელიწადში ორჯერ შეიკრიბება და ინდივიდუალურად განიხილავს თითოეული მოქალაქის განცხადებას.

ამასთან, როგორც ამბობენ, აფხაზური პასპორტის მისაღებად მნიშვნელოვანია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამურზაყანოს“ ხელმძღვანელობის რეკომენდაცია

მიმდინარე წლის მარტისთვის დასაწყისში აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ სპეციალური თათბირი ჩაატარა პასპორტიზაციის საკითხზე.

ხაჯიმბამ ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები „მოქალაქეობის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე არსებული სამართლებრივი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რომელიც ხელოვნურ პრობლემებს უქმნის აფხაზეთის მოქალაქეებს ძველი ნიმუშის აფხაზური დოკუმენტის ახალი პასპორტებით შეცვლის საქმეში.

როგორც აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტს რაიონების საპასპორტო მაგიდების უფროსებმა მოახსენეს, მარტის დასაწყისისთვის სულ გაცემულია 52 800 აფხაზეთის მოქალაქის პასპორტი.

ე.წ. პრეზიდენტმა ე.წ. შს სამინისტროს საპასპორტო სამმართველოს დაავალა დააჩქარონ ბინადრობის მონმობის გაცემა. APSNYPRESS, 07.03.18

აფხაზური პასპორტების გაცემის პრობლემები განიხილეს ე.წ. საზოგადოებრივ პალატის სხდომაზეც, რომელსაც ესწრებოდნენ აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის დეპუტატები, შს სამინისტროს საპასპორტო სამმართველოს წარმომადგენლები. სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ, ასევე, ის მოქალაქეები, რომელთაც ძველი ნიმუშის აფხაზური პასპორტის ახალი პასპორტით გამოცვლაზე უარი უთხრეს იმის გამო, რომ ისინი 1994-1999 წლების პერიოდში აფხაზეთიდან გასული იყვნენ.

საზოგადოებრივი პალატის იურისტმა ოლეგ პაპასიჩიმა კომენტარი გააკეთა აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით: “პრობლემა მდგომარეობს აფხაზეთის რესპუბლიკის ორ კანონში. ეს არის კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 1993 წელს, და მეორე, რომელიც მიიღეს 2005 წელს და, რომელმაც თავისი მოქმედება წარსულისკენ მიმართა. ეს დაუშვებელია, რადგანაც ის აუარესებს ადამიანთა მდგომარეობას და არღვევს ზოგიერთი მოქალაქის უფლებას. ადამიანებს, რომლებიც 1994-1999 წლებში აფხაზეთიდან გავიდნენ, არ ესმოდათ, რომ არღვევენ კანონს, და ამის გამო შეიძლება, რომ დაკარგონ მოქალაქეობა. ასეთი კანონის გამოყენება არამართლზომიერია“. **Apsnypress, 21.03.18**

ამავე პერიოდში სეპარატისტულმა ხელისუფლებამ მონოდეტები გააქტიურა „ბინადრობის უფლების“ აღების თაობაზე.

სააგენტო DFWATCH.Net-ის ინფორმაციით, სოხუმის რეჟიმი გალში მცხოვრებ პენსიონერებს ე.წ. „ვიდ ნა ჟიტელსტვოს“ არალების შემთხვევაში პენსიის ჩამორთმევით ემუქრება.

3. უძრავი ქონების საკითხი

ოკუპირებულ აფხაზეთში პერიოდულად ცხარე დებატები მიმდინარეობს უძრავი ქონების თემაზე. რუსეთი მოითხოვს აფხაზეთში ხელისუფლებამ დააჩქაროს კანონის მიღება, რომელიც რუსეთის მოქალაქეებს აფხაზეთში უძრავი ქონების შესყიდვის უფლებას მისცემს.

აფხაზური ე.წ. სახელისუფლებო ელიტისა და საზოგადოების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ამ კანონის დაჩქარებული წესით მიღება აფხაზეთს კარგს არაფერს მოუტანს, პირიქით, კანონის მიღება გამოიწვევს იმას, რომ გალატაკებული მოსახლეობა ყველაფერს გაყიდის და საბოლოოდ აფხაზებს მთებში გახიზვნა მოუწევთ. მეორე ნაწილი კი თვლის, რომ უძრავი ქონების გაყიდვა არარეგალურად მაინც ხდება, ამიტომ საჭიროა მისი კანონის ფარგლებში მოქცევა, რათა სახელმწიფო ბიუჯეტში ამ ქონების გაყიდვიდან ფული შევიდეს.

რუსეთის წარმომადგენლები ცდილობენ, ნებისმიერ თემას, რომელიც ოკუპირებული აფხაზეთის რომელმე სფეროს ინვესტირებას უკავშირდება, უძრავი ქონების საკითხი მიაბან. ერთ-ერთი ასეთი თემაა 2019 წელს ენგურჰესზე კაპიტალური რემონტის ჩატარების პერიოდში აფხაზეთში არსებული ენერგოდეფიციტის აღმფხვრისა და ენერგო სისტემის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნების საკითხი. ცოტა ხნის წინ ამ საკითხებზე იმსჯელეს აფხაზეთის ე.წ. საზოგადოებრივ პალატაშიც. ექსპერტების თქმით, დარგის მასშტაბურ მოდერნიზაციას ათეულობით მილიონი

დოლარი სჭირდება. ინვესტიციებისა და ერთობლივი საწარმოს შექმნის გარეშე კი ენერგეტიკული დარგის ეფექტური განვითარება ვერ მოხერხდება.

მათი თქმით, ელექტროსადგურის შერემონტების პერიოდში აფხაზეთისთვის დენის მიწოდების ალტერნატიულ წყაროდ შეიძლება იქცეს კრასნოდარის მხარიდან ელექტროენერჯის მოწოდება, რისთვისაც საჭიროა ახალი მაღალვოლტიანი გადამცემი ხაზების აშენება. როგორც ითქვა, რუსული კომპანიები მზად არიან ამ პროექტის ინვესტირება განახორციელონ, რათა რესპუბლიკაში ენერგოდეფიციტის პრობლემა აღმოიფხვრას. თავისი მხრიდან რუსული ბიზნესი დიდი ხანია აფხაზეთის ხელისუფლებას სთავაზობს „ინვესტორების ქონების დაცვის გაძლიერებას“ და რუსეთიდან მოწოდებულ ელექტროენერჯისთან დაკავშირებით ინვესტიციებზე შეზღუდვების მოხსნას, რადგან, ისინი თვლიან, რომ აფხაზური პარლამენტის მიერ 2017 წლის 31 ივლისს ელექტროენერგეტიკის სფეროში მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შეუძლებელი გახადა აფხაზეთში რუსული ინვესტიციების განხორციელება. თაქტიურად რუსული მხარე აფხაზეთს ენერგოსისტემის ინვესტიციების სანაცვლოდ უძრავი ქონების შეძენაზე შეზღუდვების მოხსნას სთავაზობს, რასაც აფხაზური საზოგადოების უმეტესი ნაწილი ეწინააღმდეგება.

აფხაზური სააგენტოების მონაცემებით, ამჟამად აფხაზეთში უცხოელი ინვესტიციების უდიდესი ნაწილი რუსულია. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დარეგისტრირებულია 230 კომპანია ასპროცენტისანი კაპიტალით და 240 აფხაზურ-რუსული ერთობლივი საწარმოო, - აღნიშნავს სააგენტო. (sputnik, 22.02.18)

ამავე პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გალის რაიონის ე.წ. ადმინისტრაციამ პრივატიზაციას დაქვემდებარებული ობიექტების ჩამონათვალში შეიტანა ქ. გალის კინოთეატრის, რესტორნისა და ყოფილი მე-14-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონის შენობა.

„საუბარია მიგდებულ ობიექტებზე, რომლებიც წლების განმავლობაში არ გამოიყენებოდა, - აღნიშნეს „აბხაზია ინფორმთან“ საუბარში გალის ე.წ. ადმინისტრაციის თანამშრომლებმა. (Abkhazia inform, 17.02.18).

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ აღნიშნულ შენობა-ნაგებობებს, როგორც იტყვიან, კაპიკებად შეისყიდიან ეთნიკური აფხაზები, რომელთა უკან გამორიცხული არ არის, რომ რუსი ბიზნესმენები იდგნენ.

ამის თქმის საფუძველს გვაძლევს რაულ ხაჯიმბას მიერ 2016 წლის 2 თებერვალს გაკეთებული განცხადება:

„სამწუხაროდ, უძრავი ქონების გაყიდვის საკითხში ცნებათა აღრევა ხდება. უძრავი ქონების ობიექტების, კერძოდ საკურორტო ობიექტებისა და სხვადასხვა საწარმოს უცხოელი მოქალაქეებისთვის მიყიდვა უკვე დიდი ხანია პრივატიზაციის შესახებ კანონის შესაბამისად ხორციელდება“. - იქვა ხაჯიმბამ.

„რაც შეეხება აფხაზეთის მოქალაქეების საკუთრებაში არსებული ბინებისა და სახლების გაყიდვას, ეს საკითხი ჯერ კიდევ სერგეი ბალაფშის დროს იდგა, დღეს, ბინებთან და სახლებთან დაკავშირებით სიტუაცია არაკონტროლირებად ხასიათს ატარებს. სწორი მიდგომის შემთხვევაში ეს პრობლემა გადაწყდება“, - განაცხადა იმდროინდელმა ე.წ. პრეზიდენტმა. **abkhazia inform, 02.02.16**

ამასთან, თავად აფხაზეთმა არაერთხელ გააუღერეს, რომ ისეთ დეპრესიულ რაიონებში, როგორცაა გალის რაიონი, აუცილებელია მივღებულ იქნას ობიექტებისა და ნგრევადი შენობების რუსებზე გაყიდვა, რათა ბიუჯეტში შესულმა ფულმა ამ მხარის „გამოცოცხლებას ხელი შეწყოს“.

როგორც ცნობილია, აფხაზეთში ყოველწლიურად ტარდება რუსეთ-აფხაზეთის საქმიანი ფორუმი, სადაც რუსული მხარის წარმომადგენლები ცდილობენ ძალით გაათრიონ აფხაზეთში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, და პირველ რიგში, რუსეთის მოქალაქეებზე უძრავი ქონების გაყიდვის დაშვების თემა. მათ არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ აფხაზეთში ინვესტორების მოზიდვა ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია.

4. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვა

გასული წლის ნოემბრის დასაწყისში კიდევ ერთი სკოლით შემცირდა გალის რაიონში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა. გალის რაიონის სოფელ თავილონში საოკუპაციო რეჟიმმა საბაზო სკოლა დახურა. დღეისათვის გალის რაიონში 30 სკოლა ფუნქციონირებს.

სეპარატისტული რეჟიმი გალის რაიონის სკოლებში ქართული ენაზე სწავლების შეზღუდვასთან ერთად ყოველმხრივ ცდილობს გააძლიეროს აფხაზური ენის სწავლება. ამ მიზნით, გალის დაბალი ზონის სკოლებში სოხუმიდან აფხაზი პედაგოგები მოავლინეს. რაიონულმა ადმინისტრაციამ აფხაზური ენის პედაგოგებს ბინები გალში დაუქირავა.

გავრცელებული ინფორმაციით, გარდა აფხაზური ენის „გაძლიერებული სწავლებისა, სოხუმიდან გალში გამოგზავნილ მასწავლებლებს ადგილობრივ სკოლებში მიმდინარე პროცესებზე თვალყურის დევნებაც ევალებათ. მათი მიზანია, მაქსიმალურად გააკონტროლონ სასკოლო პროცესი და ადგილზე „აღმოფხვრან“ ქართული ენის „უკანონოდ“ სწავლების შემთხვევები.

ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ აფხაზური რეჟიმი უახლოეს ხანებში გალის სკოლების დირექტორების შეცვლას და მათი აფხაზი ეროვნების პედაგოგებით ჩანაცვლებას აპირებს. (საკუთარი წყარო, 14.03.18).

5. ომბუდსმენის საკითხი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე

მიმდინარე წლის 9 თებერვალს საინფორმაციო სააგენტო „აბხაზია ინფორმა“ დაანონსა, რომ 12 თებერვალს ჩატარდებოდა ე.წ. აფხაზეთი პარლამენტის სესიის სხდომა, სადაც ერთ-ერთ საკითხად აფხაზეთის ე.წ. ომბუდსმენის არჩევა იყო შეტანილი. დეპუტატებს მოუწევდათ ამ თანამდებობაზე ორი კანდიდატურის-ასიდა შაკრილისა და ოდისეი ბიგვაას კანდიდატურების განხილვა.

მაგრამ, საქმე წარმოდგენილი კანდიდატურების განხილვამდე არ მისულა, რადგანაც 12 თებერვლის სესიაზე აღმოჩნდა, რომ ამ ორი კანდიდატურიდან ერთ ერთი აფხაზეთის ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა, რის შემდეგაც ე.წ. დეპუტატებმა ომბუდსმენის საკითხი დღის წესრიგიდან გაურკვეველი დროით მოხსნეს.

21 მარტს აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის დეპუტატებმა ფარული კენჭისყრით აირჩიეს ასიდა შაკრილი ე.წ. აფხაზეთის ადამიანის უფლებათა საკითხებში რწმუნებულის თანამდებობაზე.

ე.წ. ომბუდსმენის თანამდებობაზე წარდგენილი იყო ორი პიროვნების - ასიდა შაკრილის და ოდისეი ბიგვაას კანდიდატურები.

შაკრილს 23-მმა დეპუტატმა დაუჭირა მხარი 5-ის წინააღმდეგ, ოდისეი ბიგვაამ კი 4 ხმა მიიღო.

ასიდა შაკრილი ოკუპირებულ აფხაზეთში რიგით მესამე ე.წ. სახალხო დამცველია. მის არჩევამდე ამ თანამდებობაზე გიორგი ოტირბა და დიმიტრი მარშანი მუშაობდნენ.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის
პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველო**